



საქართველოს
მედიატორთა
ასოციაცია

სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020 – 2025

თბილისი

2020

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	1
შესავალი.....	2
წინაპირობა	2
სტრატეგიის დოკუმენტის მიმოხილვა.....	3
სტრატეგიის მონიტორინგის პროცესი	4
რას მიაღწევს ასოციაცია 2025 წლისთვის	5
ხედვა.....	5
2025 წლის მიზანი.....	6
მიზანი	6
შედეგის ინდიკატორები	6
სტრატეგიული პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები	7
პრიორიტეტი I. მაღალ პროფესიულ (საკვალიფიკაციო და ეთიკურ) სტანდარტებზე დაფუძნებული წევრობის სისტემის ფუნქციონირება.....	7
მიზანი	7
შედეგის ინდიკატორები	8
ამოცანები.....	8
პრიორიტეტი II. პროფესიული ცოდნის და უნარების გაზიარების ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სისტემის მდგრადი ფუნქციონირება.....	9
მიზანი	9
შედეგის ინდიკატორები	9
ამოცანები.....	10
პრიორიტეტი III. სასამართლო მედიაციის სრული ამოქმედების და პრაქტიკის შემდგომი განვითარების მხარდაჭერა	11
მიზანი	11
შედეგის ინდიკატორები	11
ამოცანები და მათი შესრულების ინდიკატორები	12
პრიორიტეტი IV. მედიაციის გარემოს განვითარება და ინტერდისციპლინური ჰარმონიზაცია.....	13
მიზანი	13
შედეგის ინდიკატორები	13
ამოცანები და მათი შესრულების ინდიკატორები	14
პრიორიტეტი V. ფინანსური სტაბილურობა და ორგანიზაციული ეფექტიანობა.....	15
მიზანი	15
შედეგის ინდიკატორები	16
ამოცანები და მათი შესრულების ინდიკატორები	16
როგორ მიაღწევს ასოციაცია სასურველ შედეგს.....	18
მისია.....	18
მარეგულირებელი.....	18
პროფესიული გაერთიანება	18
დარგობრივი ჰაბი	19

წარჩინების ცენტრი (Center of Excellence)	19
სახელმძღვანელო პრინციპები	19
მიუკერძოებლობა	19
გამჭირვალობა და ანგარიშვალდებულება.....	19
პროფესიონალიზმი.....	20
ეფექტურობა და ეფექტიანობა.....	20
სტრატეგია	20
სამოქმედო გეგმა.....	22
პრიორიტეტი I. მაღალ პროფესიულ (საკვალიფიკაციო და ეთიკურ) სტანდარტებზე დაფუძნებული წევრობის სისტემის ფუნქციონირება.....	23
მიზანი 1.	23
ამოცანა 1.1. პროფესიული (საკვალიფიკაციო და ეთიკური) მაღალი სტანდარტები დამკვიდრებულია	23
ამოცანა 1.2. წევრობის სისტემა ჩამოყალიბებულია და შეუფერხებლად უზრუნველყოფს წევრად მიღების, აღიარების, წევრობის შეჩერება/აღდგენის და წევრობის შენარჩუნების პროცესს.....	24
ამოცანა 1.3. ასოციაციის და მისი წევრების რეპუტაციული ხილვადაც უზრუნველყოფილია (ასოციაცია და მისი წევრების სტატუსი ადეკვატურად აღქმულია საზოგადოების მიერ)	26
პრიორიტეტი II. პროფესიული ცოდნის და უნარების გაზიარების ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სისტემის მდგრადი ფუნქციონირება	28
მიზანი 2	28
ამოცანა 2.1. პროფესიაში შესვლის (სასერტიფიკატო) პროგრამა ხელმისაწვდომია (საგანმანათლებლო სისტემა უზრუნველყოფს მედიაციის განვითარების საჭიროებებს და მოთხოვნებს).....	28
ამოცანა 2.2. განგრძობადი განათლების სისტემა ამოქმედებულია და ინტეგრირებული წევრობის სტატუსის მართვის პროცესებში	29
ამოცანა 2.3. მედიაციის პროფესიაზე მოთხოვნა შექმნილია	30
პრიორიტეტი III. სასამართლო მედიაციის სრული ამოქმედების და პრაქტიკის შემდგომი განვითარების მხარდაჭერა	32
მიზანი 3	32
ამოცანა 3.1. სასამართლო მედიატორთა რაოდენობა საკმარისია სასამართლო მედიაციაზე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად	32
ამოცანა 3.2. სასამართლო მედიაციის სისტემასთან კომუნიკაციის პროცესი გამართულია და შეუფერხებლად უზრუნველყოფს სასამართლო მედიაციის მხარდაჭერას.....	33
ამოცანა 3.3. სასამართლო მედიაციის პრაქტიკის დაგეგმილი და კოორდინირებული განვითარება უზრუნველყოფილია	34
პრიორიტეტი IV. მედიაციის გარემოს განვითარება და ინტერდისციპლინარული ჰარმონიზაცია.....	35
მიზანი 4	35
ამოცანა 4.1. კერძო მედიაცია - საზოგადოების მიერ აღიარებული, ხელმისაწვდომი და ხშირად გამოყენებადი დავის გადაწყვეტს ფორმა	35
ამოცანა 4.2. მედიაციის ინტერდისციპლინარული სერვისები ჰარმონიზებულია და ინტეგრირებულია ერთიან პროფესიულ სივრცეში	37
ამოცანა 4.3. მარეგულირებელი გარემო უზრუნველყოფს მედიაციის სერვისის სათანადოდ გამოყენება, განვითარებას და რეგიონალურ ინტეგრაციას.....	38
პრიორიტეტი V. ფინანსური სტაბილურობა და ორგანიზაციული ეფექტიანობა	40
მიზანი 5	40
ამოცანა 5.1. ფინანსური და საოპერაციო მდგრადობა უზრუნველყოფილია	40

ამოცანა 5.2. გუნდის ცოდნაზე, განვითარებაზე და თანამშრომლობაზე ორიენტირებული ორგანიზაციული კულტურა ჩამოყალიბებულია 41

ამოცანა 5.3. ურთიერთობა წევრებთან და ყველა დონის გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება ინფორმაციაზე დაყრდნობით, ტექნოლოგიების მაქსიმალური გამოყენებით და ბიუროკრატიული ზერკეტების გარეშე 42

წინასიტყვაობა

2020 წლის 01 იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, რაც უპრეცედენტო რეფორმას წარმოადგენს ბოლო წლების საქართველოში, აღნიშნული კანონის ამოქმედებამ ყველა ჩვენთაგანს ჯერ კიდევ წარმოუდგენელი შესაძლებლობები დაგვიქვემდებარა, რითაც ფაქტობრივ შეუძლებლის შესაძლებლად წარმოდგენა და მიღწევა უნდა შევძლოთ, კერძოდ:

- მოგვეცა შესაძლებლობა თავად გადავწყვიტოთ ჩვენი სამართლებრივი დავა, მიმდინარე სასამართლოში!
- მოგვეცა შესაძლებლობა თავად გადავწყვიტოთ ჩვენი სამართლებრივი დავა სასამართლოსთვის მიუმართავად, პირდაპირ მედიატორის დახმარებით!
- ჩვენს მიერ მიღწეული შეთანხმება ექვემდებარება სასამართლოს მიერ სავალდებულო სახით დამტკიცებას და ჩვენი ხელით ვახორციელებთ მართლმსაჯულებას!
- ეს ყველაფერი ხორციელდება უმოკლეს ვადებში და გაცილებით უფრო მცირე დანახარჯით ვიდრე ნებისმიერი სხვა სახის დავის გადაწყვეტის საშუალების გამოყენებით.

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ არის დამოუკიდებელ პროფესიონალთა ერთობა!

მედიატორი თქვენ გეხმარებათ დაგანახოთ თქვენი რეალური ინტერესები, გეხმარებათ დაგანახოთ თქვენს მიერ შექმნილი, თქვენი ხვალინდელი მშვიდობიანი და წარმატებული მომავალი!

მედიაციის გამოყენებით თქვენ თავად ვაგეგმარებთ თქვენს მომავალს, ცდილობთ გაატაროთ თქვენი საუკეთესო ინტერესი და მიაღწიოთ იმ სასურველ შედეგს და შეთანხმებას, რაც ყველაზე მეტად არის თქვენთვის მისაღები!

მედიატორი არის პროფესიონალი, რომელიც განსწავლულია ყველა იმ საჭიროებაში და აქვს ყველა ის უნარი, რაც თქვენ დაგეხმარებათ თავი იგრძნოთ კომფორტულად ერთი შეხედვით დამაბულ ურთიერთობებში, იყოთ უშუალო და განიმსჭვალეთ იმედით!

ნება მოგვეცით მედიატორებს ვიყოთ თქვენს სამსახურში, ყველა თქვენთაგანის ინტერესებისათვის!

ირაკლი ყანდაშვილი

თავმჯდომარე

შესავალი

წინაპირობა

მედიატორთა დაგეგმვის მოგვარების ალტერნატიული მეთოდია, რომელიც ფოკუსირდება მხარეთა ინტერესების გამოვლენაზე და მათთვის მისაღები გამოსავლის მოძიებაზე. ამ პროცესში მხარეებს მედიატორი ეხმარება, რომელიც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მესამე პირია. მედიატორი სათანადო უნარებითაა აღჭურვილი, რომელიც მხარეებს კონსტრუქციული მოლაპარაკების წარმართვაში და ინტერესების გამოკვლევაში ეხმარება.

საქართველოში 2011 წელს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად გაჩნდა პირველი ჩანაწერები სასამართლო მედიაციის შესახებ. კერძოდ, მოწესრიგდა სასამართლო მედიაციის საკითხები, განისაზღვრა სავალდებულო მედიაციისათვის გადასაცემი საქმეების კატეგორიები, განისაზღვრა მედიაციის პრინციპები და ზოგადი ჩარჩო. ამის შემდეგ იუსტიციის საბჭოსა და დონორების თანამშრომლობის საფუძველზე შეიქმნა მედიატორობის კანდიდატთა პირველი ნაკადი და მოხდა მათი მომზადება და აკრედიტაცია. აკრედიტებული იქნა 16 მედიატორი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის ცენტრმა პილოტურ რეჟიმში მუშაობა 2013 წელს დაიწყო. მედიაციაში საქმეების გადაცემის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2017-2018 წლებში. საქმეების გადაცემის მონაცემები წლების მიხედვით შემდეგია¹:

სასამართლო მედიაციაში განხილული საქმეები								
დავის კატეგორია	2013წ. (X)	2014წ.	2015წ.	2016წ.	2017წ.	2018წ.	2019წ.	2020 წ.
სანივთო (ქონებრივი) სამართლებრივი	1	10	14	5	8	10	4	2
ვალდებულებით სამართლებრივი	1	1	1	10	30	22	10	1
საოჯახო სამართლებრივი	1	2	8	7	10	14	4	1
სამემკვიდრეო სამართლებრივი	0	0	4	2	2	3	7	0
შრომითი სამართლებრივი	0	0	0	0	1	2	4	4
პატივისა და ღირსების შელახვის შესახებ	0	0	0	0	0	0	2	0
სულ	3	13	27	24	51	51	31	8
საერთო ჯამში - 208 საქმე								

¹ სტატისტიკური მონაცემები ეყრდნობა თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

მედიაციაში გადაცემული საქმეებიდან მხარეთა მორიგების მაჩვენებელი წლების განმავლობაში 60 - 70% მერყეობდა.

საქმეების რაოდენობის ზრდასთან ერთად დღის წესრიგში დადგა მედიატორთა რაოდენობის ზრდის საჭიროება. 2017 წლიდან, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, დაიწყო მედიატორთა ახალი ტალღის მომზადება. 2017 წელს გადამზადდა 23 ახალი მედიატორი თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის, 2018 წელს დამატებით 15 მედიატორი რუსთავისა და გორის სასამართლოებისთვის. 2019 წლის თებერვლიდან მედიაციის პილოტური პროექტი ამოქმედდა ასევე რუსთავისა და გორის სასამართლოებში, სადაც მედიაციების ჩატარება დაიწყო ახლად გამზადებულმა მედიატორებმა. 2019 წლის ბოლოს ამოქმედდა მედიაციის ცენტრი მცხეთის რაიონულ სასამართლოში - 15 მედიატორით.

საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის 18 სექტემბერს საქართველოს კანონი მედიაციის შესახებ მიიღო. კანონმა შექმნა საკანონმდებლო ჩარჩო როგორც სასამართლო, ისე კერძო მედიაციისთვის და მოაწესრიგა მედიაციის პროცესთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები:

- მედიატორთა თვითრეგულირების პროფესიული ორგანიზაციის შექმნა - სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“, რომელიც განსაზღვრავს მედიატორთა მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათი აკრედიტაციის წესს, განგრძობად განათლებას და აკრედიტებული მედიატორების სიის წარმოებას;
- მოწესრიგდა მედიაციის პრინციპები (და ფარგლები): კონფიდენციალობა, ნებაყოფლობითობა, თვითგამორკვევა;
- მედიაციის გზით მიღწეული მორიგების შეთანხმება აღსრულებადი გახდა; განისაზღვრება როგორც სასამართლო, ისე კერძო მედიაციის შედეგად მიღწეული სამედიაციო მორიგების აღსრულების წესი;
- განისაზღვრა სასამართლო მედიაციის პროგრამების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან. დაფინანსება.

სწორედ ამ კანონის საფუძველზეა შექმნილი სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ (შემდგომში „ასოციაცია“), რომელიც 2019 წლის 14 დეკემბერს დაფუძნდა. ასოციაცია დააფუძნეს 2019 წლის დეკემბერში იუსტიციის უმაღლესმა საბჭოს მიერ დამტკიცებული მედიატორთა ერთიანი რეესტრის მედიატორებმა. ასეთი სულ 55 მედიატორია.

სტრატეგიის დოკუმენტის მიმოხილვა

წინამდებარე სტრატეგია და მისი პირველადი სამოქმედო გეგმა ასოციაციის 2020-2025 სტრატეგიულ ხედვას განსაზღვრავს, ადგენს მომავალი 5 წლის მოქმედებების პრიორიტეტებს. სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო ის ფაქტი, რომ ასოციაცია ახლად შექმნილი ორგანიზაციაა, რომელმაც პირველ რიგში უნდა უზრუნველყოს მედიატორის პროფესიის განვითარება და მოწესრიგება, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია მედიაციის გამოყენების მაჩვენებლების მოსალოდნელ ზრდასთან.

სტრატეგიის დოკუმენტზე მუშაობა მიმდინარეობდა 2020 წლის თებერვალი - ივნისის პერიოდში, მოიცავდა რეგულარულ შეხვედრებს ასოციაციის საბჭოსთან. შეხვედრები გაიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში კონსულტაციები ჩატარდა საერთაშორისო ექსპერტთან ჯეიმს საუსთან, რომელიც წარმოადგენს დიდ ბრიტანეთში დაფუძნებული „ეფექტიანი დავების გადაწყვეტის ცენტრს“ (CEDR). მხედველობაში მიღებულ იქნა მის მიერ მედიატორთა სერტიფიცირებისა და აკრედიტაციის მოდელების შესახებ შემუშავებული რეკომენდაციები. სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავდა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით.

სტრატეგია შემუშავდა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) აქტიური მონაწილეობითა და მხარდაჭერით.

სტრატეგიის მონიტორინგის პროცესი

2020 – 2025 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავებულია ასოციაციის საბჭოს და დამტკიცებულია ასოციაციის საერთო კრების მიერ. სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შესრულებაზე ასოციაციის საბჭოა პასუხისმგებელი.

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მიზნით, ასოციაცია შექმნის სტრატეგიის მონიტორინგის სამუშაო ჯგუფს. სამუშაო ჯგუფი ანგარიშვალდებულია ასოციაციის საბჭოს წინაშე. სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს:

- ინდიკატორების სისტემის გამართვას
- მონიტორინგის გეგმების ყოველწლიურად მომზადებას და შესრულების ზედამხედველობას
- სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდული ანგარიშის მომზადებას
- სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის ინიცირებას, საჭიროების შემთხვევაში.

ერთწლიანი სამოქმედო (საოპერაციო) გეგმებს დაამტკიცებს ასოციაციის საერთო კრება, საბჭოს წარდგინებით. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მომზადება და დამტკიცება ინტეგრირებული იქნება ასოციაციის წლიური ბიუჯეტის მომზადების პროცესთან.

რას მიაღწევს ასოციაცია 2025 წლისთვის

ხედვა


2025 წლისთვის მედიატორის პროფესია უნდა იყოს პოპულარული, პრესტიჟული, მოთხოვნადი, ხოლო მედიატორის სერვისი სანდო და ეფექტური.

- მედიატორი - მოთხოვნადია და ნდობით აღჭურვილი პროფესია

შემდეგი დეკადის განმავლობაში მედიატორი საქართველოში მოთხოვნად და საზოგადოების და სასამართლო სისტემის ნდობით აღჭურვილ პროფესიად ჩამოყალიბდება და განვითარდება.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციას გააჩნია განსაკუთრებული და უნიკალური როლი მედიატორის პროფესიის ჩამოყალიბებაში და განვითარებაში. ასოციაცია არის საქართველოში მედიატორის პროფესიის განმავითარებელი, მისი წევრების პროფესიონალიზმისა და მაღალი ეთიკური სტანდარტების გარანტი.

ასოციაციას ასევე აქვს წამყვანი როლი საქართველოში მედიაციის ინსტიტუციონალიზაციასა და განვითარებაში, მედიაციის პოლიტიკის წარმართვაში, ინტერესებზე დაფუძნებული ურთიერთშეთანხმების კულტურის დამკვიდრებაში.



2025 წლის მიზანი

მიზანი

ასოციაციის 2025 წლის მიზანია:

- ჩამოაყალიბოს მედიატორის პროფესიული საქმიანობის და განვითარების მდგრადი, ინფორმირებული, საზოგადოებისთვის ხილვადი და საზოგადოების მიერ აღიარებული სანდო გარემო.

შედეგის ინდიკატორები

ასოციაცია ჩათვლის, რომ 2025 წლის მიზანი მიღწეულია, თუ:

- საქართველოში აქტიურად იფუნქციონირებს სულ მცირე **350 სერტიფიცირებული მედიატორი**;
- მედიატორების მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი იქნება **საქართველოს ყველა რეგიონში**, მათ შორის, სასამართლო მედიაციის ცენტრებში (**26** პირველი ინსტანციის სასამართლო) და კერძო მედიაციის ცენტრებში (სულ მცირე **5** კერძო მედიაციის ცენტრი);
- სისტემა უზრუნველყოფს ყოველწლიურად სულ მცირე **50** ახალი მედიატორის პროფესიაში ინტეგრაციის შესაძლებლობას;
- წლიდან წლამდე მედიაციით განხილული დავების რაოდენობა იზრდება სულ მცირე **20%**.
- საქართველოს საზოგადოება აღიარებს მედიაციას სამოქალაქო დავების გადაწყვეტის პრეფერენციულ მეთოდად;
- მედიაციის პროცესში მონაწილე მხარეების **უმრავლესობა** პროცესით კმაყოფილებას გამოხატავს.

სტრატეგიული პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები

აღნიშნული საერთო მიზნის მიღწევის გზაზე, 2020 – 2025 წლების განმავლობაში ასოციაცია ფოკუსირებული იქნება შემდეგი ხუთი პრიორიტეტული მიმართულების განვითარებაზე:



პრიორიტეტი I. მაღალ პროფესიულ (საკვალიფიკაციო და ეთიკურ) სტანდარტებზე დაფუძნებული წევრობის სისტემის ფუნქციონირება

ასოციაციის ერთერთ მთავარ პრიორიტეტს წევრობის სისტემის მდგრადი, გამჭირვალე, სამართლიანი და ეფექტური სისტემის ფუნქციონირება წარმოადგენს. აღნიშნული სისტემა უნდა უზრუნველყოს ასოციაციის წევრების მაღალი პროფესიული და რეპუტაციის სტანდარტების დამკვიდრება. ასოციაციის წევრობა პრესტიჟის, რეპუტაციის, იმიჯის და პროფესიონალიზმის გარანტია უნდა იყოს.

წევრობის სისტემის სწრაფი და ეფექტური გამართვა 2020-2021 წლის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. 2022-2025 წლის განმავლობაში ასოციაცია წევრობის სისტემის დახვეწას, გაფართოებას და შეუფერხებლად ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

მიზანი

პრიორიტეტის ფარგლებში, 2025 წლის მიზანია:

- ასოციაციის წევრობის მაღალი რეპუტაცია ჩამოყალიბებულია და აღიარებული საზოგადოების მიერ.


შედეგის ინდიკატორები²

ასოციაცია ჩათვლის, რომ ეს მიზანი მიღწეულია, თუ (2025 წლის მდგომარეობით):

- ასოციაციის წევრობაზე მოთხოვნა სტაბილურია და წელიწადში საშუალოდ 50 მსურველი მიმართავს სერტიფიცირების და ასოციაციაში წევრობის თაობაზე;
- ასოციაციის ყველა წევრი რეგულარულად ეწევა სამედიაციო პრაქტიკას (საშუალოდ, უზრუნველყოფს 5 საქმის წარმოებას წელიწადში);
- წევრების საქმიანობა დადებითადაა შეფასებული პროცესში მონაწილე მხარეების მიერ (კმაყოფილების მაღალი მაჩვენებლები);
- ასოციაცია სათანადოდ რეაგირებს წევრების მიერ პროფესიული და ეთიკური სტანდარტების დარღვევაზე (განმეორებადი დარღვევების და რეაგირების მაჩვენებლები)³.

ამოცანები

პრიორიტეტის ფარგლებში და განცხადებული მიზნის მიღწევის გზაზე, ასოციაცია გეგმავს შემდეგი სამის სტრატეგიული ამოცანის შესრულებას:



ასოციაცია გაზომავს ამოცანების შესრულების პროგრესს შემდეგი ინდიკატორების მეშვეობით:

² ინდიკატორების გაანგარიშების მეთოდოლოგიას უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფი მონიტორინგის გეგმის ფარგლებში.

³ (*) ნიშნით აღნიშნული ინდიკატორების საწყისი (საბაზისო) და სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრას უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფი მონიტორინგის გეგმის ფარგლებში.

ამოცანა	ინდიკატორები
1.1. პროფესიული (საკვალიფიკაციო და ეთიკური) მაღალი სტანდარტები დამკვიდრებულია	<ul style="list-style-type: none"> საჩივრების რაოდენობა/დინამიკა დისციპლინარული ზომების დინამიკა, ხვედრითი წილი მხარეთა კმაყოფილება
1.2. წევრობის სისტემა ჩამოყალიბებულია და შეუფერხებლად უზრუნველყოფს წევრად მიღების, აღიარების, წევრობის შეჩერება/აღდგენის და წევრობის შენარჩუნების პროცესს	<ul style="list-style-type: none"> საქმისწარმოების დრო დამუშავებული საქმეების რაოდენობა გადაწყვეტილებების გადახედვის რაოდენობა
1.3. ასოციაციის და მისი წევრების რეპუტაციული ხილვადობა უზრუნველყოფილია (ასოციაცია და მისი წევრების სტატუსი ადეკვატურად აღქმულია საზოგადოების მიერ)	<ul style="list-style-type: none"> ვებ-გვერდის და სოციალური მედიის ნაკადები ინფორმაციის ძებნა სოციალური მედიაში დაფარვა მედიის გაშუქება განწყობის მაჩვენებლები (კვლევა)

პრიორიტეტი II. პროფესიული ცოდნის და უნარების გაზიარების ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სისტემის მდგრადი ფუნქციონირება

მნიშვნელოვანია მედიატორთა პროფესიული ცოდნის და უნარების გაზიარების ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სისტემის მდგრადი ფუნქციონირება, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი მუდმივი პროფესიული ზრდა, რაც შემდგომში განაპირობებს მედიაციის პროფესიისადმი ნდობის გაზრდას საზოგადოებაში.

სასწავლო დაწესებულებების ინსტიტუციური და სასერტიფიკატო (პროფესიაში შესვლის) პროგრამების პროგრამული აკრედიტაციის სისტემის ამოქმედება 2020-2021 წლის პრიორიტეტს წარმოადგენს.

2022-2025 წლის განმავლობაში ასოციაცია საბაზისო განათლების სისტემის განვითარებას და განგრძობადი განათლების სისტემის ჩამოყალიბებას და ამოქმედებას უზრუნველყოფს.

მიზანი

პრიორიტეტის ფარგლებში, 2025 წლის მიზანია:

- მაღალი ხარისხის პროფესიული განათლება ხელმისაწვდომია, სტაბილურად მიეწოდება და სათანადოდ პასუხობს მედიაციის განვითარების საჭიროებებს და მოთხოვნებს.

შედეგის ინდიკატორები


ასოციაცია ჩათვლის, რომ ეს მიზანი მიღწეულია, თუ (2025 წლის მდგომარეობით):

- სულ მცირე 5 აკრედიტირებული საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს სასერტიფიკატო პროგრამის შეთავაზებას;

- სასერტიფიკატო პროგრამა ხელმისაწვდომია საქართველოს ყველა რეგიონისთვის;
- უზრუნველყოფილია სულ მცირე 50 მსმენელის მომზადებას წელიწადში;
- მსმენელთა 70% წარმატებით გადის პროფესიულ სერტიფიცირებას;
- მედიატორთა პროფესიული წრის სულ მცირე 30% წარმოდგენილია არა იურიდიული განათლების და პრაქტიკის მქონე პირებით.
- მედიატორთა პროფესიული წრის სულ მცირე 45% ქალია.
- განგრძობადი განათლების სისტემა წელიწადში უზრუნველყოფს სულ მცირე 350 მედიატორის გადამზადებას.

ამოცანები

პრიორიტეტის ფარგლებში და განცხადებული მიზნის მიღწევის გზაზე, ასოციაცია გეგმავს შემდეგი სამის სტრატეგიული ამოცანის შესრულებას:



ასოციაცია გაზომავს ამოცანების შესრულების პროგრესს შემდეგი ინდიკატორების მეშვეობით:

ამოცანა	ინდიკატორები
2.1. პროფესიაში შესვლის (სასერტიფიკატო) პროგრამა ხელმისაწვდომია (საგანმანათლებლო სისტემა უზრუნველყოფს მედიაციის განვითარების საჭიროებებს და მოთხოვნებს)	<ul style="list-style-type: none"> • აკრედიტირებული სატრენინგო ცენტრების რაოდენობა • მსმენელთა რაოდენობა • მსურველთა/მსმენელების ფარდობითი მაჩვენებლები • რეგიონალური დაფარვა • ხარისხობრივი ინდიკატორები (მსმენელთა შეფასება, შეფასებების სტატისტიკა)

ამოცანა	ინდიკატორები
2.2. განგრძობადი განათლების სისტემა ამოქმედებულია და ინტეგრირებული წევრობის სტატუსის მართვის პროცესებში	<ul style="list-style-type: none"> • განგრძობადი განათლების ფარგლებში ჩატარებული საათების სტატისტიკა • მედიატორების მიერ ჩართულობის (საათები) სტატისტიკა • კურსების და ადგილ/საათების მისაწვდომობა • განგრძობადი განათლების ფარგლებში მიღებული კრედიტების გამოყენება სტატუსის შენარჩუნების პროცესში (მედიატორთა რაოდენობა, სხვა)
2.3. მედიაციის პროფესიაზე მოთხოვნა შექმნილია	<ul style="list-style-type: none"> • სასერტიფიკატო ტრენინგებზე მიმართვიანობა • აკრედიტაციაზე მიმართვიანობა, მათ შორის რეგიონალურ ჭრილში • ახალი მედიატორების დემოგრაფიული და რეგიონალური სტატისტიკა

პრიორიტეტი III. სასამართლო მედიაციის სრული ამოქმედების და პრაქტიკის შემდგომი განვითარების მხარდაჭერა

ასოციაციის როლი სასამართლო მედიაციის პროგრამის ამოქმედების და ფუნქციონირების მხარდაჭერის კუთხით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 1/366 გ გადაწყვეტილებით დამტკიცებული სასამართლო მედიაციის პროგრამით განისაზღვრება. აღნიშნული პროგრამით განსაზღვრული როლის წარმატებით შესრულება მედიაციის ერთერთ უმთავრესს პრიორიტეტს წარმოადგენს.

სასამართლო მედიაციის სწრაფი და წარმატებული ამოქმედების მხარდაჭერის მიზნით, 2020-2021 წლების განმავლობაში ასოციაცია დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით მედიაციის ტრენინგების ჩატარებას უზრუნველყოფს. ასოციაცია ასევე ჩართული იქნება სასამართლო მედიატორთა ცენტრებისთვის მედიატორთა მომზადებაში, იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან თანამშრომლობით.

2022 წლიდან ასოციაციის ყურადღება გამახვილებული იქნება სასამართლო მედიაციის პროცესის დაგეგმვის და სისტემის მიზანმიმართული განვითარების უზრუნველყოფაზე.

მიზანი

პრიორიტეტის ფარგლებში, 2025 წლის მიზანია:

- ასოციაცია უზრუნველყოფს სასამართლო მედიაციის პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას, სასამართლო სისტემის მოთხოვნების შესაბამისად და სასამართლო მედიაციის მექანიზმის განვითარების საჭიროებიდან გამომდინარე.


შედეგის ინდიკატორები

ასოციაცია ჩათვლის, რომ ეს მიზანი მიღწეულია, თუ (2025 წლის მდგომარეობით):

- სასამართლო მედიატორის დანიშვნის პროცესის ხანგრძლივობა არ აღემატება 3 სამუშაო დღეს;
- ყველა საერთო სასამართლო (26) უზრუნველყოფილია მედიატორების საკმარისი რაოდენობით*;
- სასამართლო მედიაციის საქმეების დინამიკა დადებითია (იზრდება წელიწადში 20%), მათ შორის რეგიონულ ჭრილში*;
- მხარეების 70% გამოხატავს კმაყოფილებას მედიაციის პროცესით;

ამოცანები და მათი შესრულების ინდიკატორები

პრიორიტეტის ფარგლებში და განცხადებული მიზნის მიღწევის გზაზე, ასოციაცია გეგმავს შემდეგი სამის სტრატეგიული ამოცანის შესრულებას:



ასოციაცია გაზომავს ამოცანების შესრულების პროგრესს შემდეგი ინდიკატორების მეშვეობით:

ამოცანა	ინდიკატორები
3.1 სასამართლო მედიატორთა რაოდენობა საკმარისია სასამართლო მედიაციაზე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად	<ul style="list-style-type: none"> • მედიატორთა რაოდენობა სასამართლოს მიხედვით • „პრობლემური“ საქმეების რაოდენობა, როდესაც პროცესი შეფერხდა მედიატორის მიუწვდომლობის გამო • უკუკავშირის/კმაყოფილების დინამიკა
3.2. სასამართლო მედიაციის სისტემასთან კომუნიკაციის პროცესი გამართულია და შეუფერხებლად უზრუნველყოფს სასამართლო მედიაციის მხარდაჭერას	<ul style="list-style-type: none"> • სასამართლოებთან საქმისწარმოების დრო (მთლიანი ციკლი, ცალკეული ნაბიჯები) • სასამართლოს უკუკავშირის ხარისხობრივი დინამიკა

ამოცანა	ინდიკატორები
	<ul style="list-style-type: none"> პროცესის შეფერხების და წარუმატებლობის სტატისტიკა და დინამიკა
3.3. სასამართლო მედიაციის პრაქტიკის დაგეგმილი და კოორდინირებული განვითარება უზრუნველყოფილია	<ul style="list-style-type: none"> სასამართლო მედიაციაზე გადაცემული საქმეების სტატისტიკა (მათ შორის, ხარისხობრივი), მათ შორის მედიატორების უკუკავშირის საფუძველზე სასამართლო მედიაციის რეგიონებში გაშლის სტატისტიკა, გეგმებთან მიმართებაში.

პრიორიტეტი IV. მედიაციის გარემოს განვითარება და ინტერდისციპლინური ჰარმონიზაცია

საქართველოს კანონმდებლობა ცნობს, განსაზღვრავს და არეგულირებს მედიაციის სხვადასხვა დარგობრივ ფორმას, როგორც არის სანოტარო მედიაცია, კოლექტიური შრომითი დავების მედიაცია. ამავდროულად, არ არსებობს მედიაციის სხვადასხვა დარგობრივი ფორმის რეგულირების ერთიანი ჩარჩო, თუმცა აღნიშნულ ფორმებს ბევრი საერთო არსობრივი დატვირთვა გააჩნია. აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანია განხორციელდეს ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება და კოორდინაცია. ასოციაციას ზემოხსენებული კოორდინაციის უზრუნველყოფის ხედვა და ამბიცია გააჩნია.

ინტერდისციპლინური გარემოს კონტექსტში, განსაკუთრებით აღსანიშნავია კერძო მედიაციის ადგილი და როლი. როდესაც კერძო მედიაცია არ წარმოადგენს მკაცრი სახელმწიფო რეგულირების საგანს, ასოციაციას გააჩნია ამბიცია უზრუნველყოს აღნიშნული დარგის ჩამოყალიბების და განვითარების მდგრადი, ერთიანი ჩარჩოში ინტეგრირებული გარემო.

2020-2021 წლების განმავლობაში ასოციაციის ყურადღება გამახვილებული იქნება დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფასა და დიალოგის მდგრადი პლატფორმის ჩამოყალიბებაზე, ხოლო 2022-2025 წლები ერთიანი პოლიტიკის და ჩარჩოს შექმნისთვის იქნება განკუთვნილი.

მიზანი

პრიორიტეტის ფარგლებში, 2025 წლის მიზანია:

- მედიაცია ჩამოყალიბებულია როგორც ხშირად გამოყენებადი პროცესი და უზრუნველყოფილია პროფესიული სტანდარტების და პრაქტიკის შესაბამისობა ინტერდისციპლინურ სფეროებში


შედეგის ინდიკატორები

ასოციაცია ჩათვლის, რომ ეს მიზანი მიღწეულია, თუ (2025 წლის მდგომარეობით):

- მხარეების უმრავლესობა დადებითად აფასებს გავლილ პროცესს, გამოხატავს მედიაციის შემდგომი გამოყენების მზაობას;
- ბიზნესის სექტორი (განსაკუთრებით, მაღალი სოციალური ეფექტის მქონე სეგმენტი) განიხილავს მედიაციას, როგორც დავების გადაწყვეტის უმთავრესს მეთოდს და განამტკიცებს მის პრიორიტეტული გამოყენების ვალდებულებას სახელშეკრულებო დონეზე*;
- საქართველოში ფუნქციონირებს სულ მცირე 5 კერძო მედიაციის ცენტრი, რომელიც ემსახურება საქართველოს ყველა რეგიონს;
- ასოციაციის მედიატორები უზრუნველყოფენ დარგობრივი/სეგმენტური მედიაციის სერვისის მიწოდებას (დარგობრივი/სეგმენტური საქმეების 60% უზრუნველყოფილია ასოციაციის მედიატორებით);
- მედიაციის საქმეების რაოდენობა, სადაც პროცესი შეფერხდა ან/და შეთანხმება არ შედგა საკანონმდებლო ხარვეზების გამო, არ აღემატება საქმეების საერთო რაოდენობის გონივრულ ზღვარს*.
- მედიაციის გაფართოვების დინამიკა (საქმეების რაოდენობა, სეგმენტი/სპეციფიკის/ რეგიონის მიხედვით) შეესაბამება დაგეგმილ მაჩვენებლებს*.

ამოცანები და მათი შესრულების ინდიკატორები

პრიორიტეტის ფარგლებში და განცხადებული მიზნის მიღწევის გზაზე, ასოციაცია გეგმავს შემდეგი სამის სტრატეგიული ამოცანის შესრულებას:



ასოციაცია გაზომავს ამოცანების შესრულების პროგრესს შემდეგი ინდიკატორების მეშვეობით:

ამოცანა	ინდიკატორები
4.1. კერძო მედიაცია - საზოგადოების მიერ აღიარებული, ხელმისაწვდომი და ხშირად გამოყენებადი დავის გადაწყვეტის ფორმაა	<ul style="list-style-type: none"> • საქმეების სტატისტიკა (დემოგრაფია, გეოგრაფია, სპეციფიკა) და დინამიკა • მხარეების უკუკავშირი/შეფასება • რეგიონალური დაფარვა • კერძო მედიაციის ცენტრების რაოდენობა • სოციალური მედიაციის საქმეების რაოდენობა • ცნობიერების მაჩვენებლების (კვლევები)
4.2. მედიაციის ინტერდისციპლინარული სერვისები ჰარმონიზებულია და ინტეგრირებულია ერთიან პროფესიულ სივრცეში	<ul style="list-style-type: none"> • ასოციაციის წევრების მონაწილეობა დარგობრივი/ სეგმენტური მედიაციის პროცესებში • დარგობრივი/სეგმენტური მედიაციების ერთიანი მარეგულირებელი ჩარჩოს არსებობა
4.3. მარეგულირებელი გარემო უზრუნველყოფს მედიაციის სერვისის სათანადოდ გამოყენებას, განვითარებას და რეგიონალურ ინტეგრაციას	<ul style="list-style-type: none"> • იდენტიფიცირებული საკანონმდებლო ხარვეზების რაოდენობა • საკანონმდებლო ინიციატივების რაოდენობა • საკანონმდებლო ცვლილებების რაოდენობა

პრიორიტეტი V. ფინანსური სტაბილურობა და ორგანიზაციული ეფექტიანობა

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია, როგორც ახალი შექმნილი ორგანიზაცია, ამჟამად იმყოფება მისი ინსტიტუციური განვითარების საწყის ეტაპზე. ასოციაციას გააჩნია ამბიციური საწყისი ეტაპზე ჩამოყალიბდეს როგორც გამართული, ძლიერი და სტაბილური ორგანიზაცია, რაც შექმნის მისი შემდგომი განვითარების მყარ საფუძველს და უზრუნველყოფს ამბიციური მიზნების წარმატებით მიღწევის საწინდარს.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია, როგორც ახლადშექმნილი ორგანიზაცია, ამჟამად მისი ინსტიტუციური განვითარების ადრეულ ეტაპზე იმყოფება. ასოციაცია აპირებს შექმნას გამართული, ძლიერი და სტაბილური ორგანიზაცია, რომელიც საფუძველს მისცემს მის შემდგომ განვითარებას და შექმნის წინაპირობებს ამბიციური მიზნების წარმატებული მიღწევისთვის.

2020-2021 წლების განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნება ორგანიზაციის ამოქმედება და მისი მართვის სისტემის ჩამოყალიბება და ამოქმედება. 2020-2025 წლები მიეძღვნება ორგანიზაციის საოპერაციო დახვეწას და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას.

მიზანი

პრიორიტეტის ფარგლებში, 2025 წლის მიზანია:

- ასოციაცია ჩამოყალიბებულია როგორც მდგრადი და ეფექტიანი, წევრების, პარტნიორების და მედიაციის ინტერესების დაცვაზე ფოკუსირებული

ორგანიზაცია, თანამშრომლობაზე დაფუძნებული ორგანიზაციული კულტურით და ცოდნასა და ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების და სერვისის მიწოდების პროცესებით


შედეგის ინდიკატორები

ასოციაცია ჩათვლის, რომ ეს მიზანი მიღწეულია, თუ (2025 წლის მდგომარეობით):

- ასოციაცია სრულად უზრუნველყოფს განვითარების საჭიროებების (მათ შორის, მატერიალური-ტექნიკური ბაზის) დაფინანსებას*;
- თანამშრომლების უმრავლესობა გამოხატავს ლოიალობას ორგანიზაციის მიმართ (მათ შორის, გააჩნია ჩართულობის და კმაყოფილების მაღალი მაჩვენებლები)*;
- კადრების დენადობა არ აღემატება წელიწადში 10-15%-ს;
- ტრადიციული (ქალაქის მატარებელზე) საქმისწარმოება დაყვანილია მინიმალურ დონემდე*.

ამოცანები და მათი შესრულების ინდიკატორები

პრიორიტეტის ფარგლებში და განცხადებული მიზნის მიღწევის გზაზე, ასოციაცია გეგმავს შემდეგი სამის სტრატეგიული ამოცანის შესრულებას:



ასოციაცია გაზომავს ამოცანების შესრულების პროგრესს შემდეგი ინდიკატორების მეშვეობით:

ამოცანა	ინდიკატორები
<p>5.1. ფინანსური და საოპერაციო მდგრადობა უზრუნველყოფილია</p>	<ul style="list-style-type: none"> • შემოსავლების სტრუქტურა და სტრუქტურის დინამიკა • ხარჯების მიზნობრივი სტრუქტურა (კაპიტალური, მარკეტინგი, ადამიანური რესურსების განვითარება) • ბიუჯეტის ოდენობა და დინამიკა • ფინანსური და ლოგისტიკური პროცესების ეფექტიანობის სხვა ინდიკატორები
<p>5.2. გუნდის ცოდნაზე, განვითარებაზე და თანამშრომლობაზე ორიენტირებული ორგანიზაციული კულტურა ჩამოყალიბებულია</p>	<ul style="list-style-type: none"> • კადრების ოდენობა, დენადობა, დემოგრაფიული სტატისტიკა • შრომის ანაზღაურება და წახალისების სტრუქტურა და დინამიკა • თანამშრომლების განვითარების ბიუჯეტი, მისი დინამიკა • თანამშრომლების ტრენინგების სტატისტიკა და დინამიკა • თანამშრომლების კმაყოფილება, ჩართულობა • HR პროცესების ეფექტიანობის სხვა ინდიკატორები
<p>5.3. ურთიერთობა წევრებთან და ყველა დონის გადაწყვეტილებების მიიღება ხორციელდება ინფორმაციაზე დაყრდნობით, ტექნოლოგიების მაქსიმალური გამოყენებით და ბიუროკრატიული ბერკეტების გარეშე</p>	<ul style="list-style-type: none"> • პროცესების ავტომატიზაციით დაფარვა • ტრადიციული vs. ელექტრონული მიმართვიანობის სტატისტიკა • პროცესების ეფექტიანობის სხვა ინდიკატორები

როგორ მიაღწევს ასოციაცია სასურველ შედეგს

მისია

ასოციაცი, მისი მანდატის შესაბამისად და ხედვის განხორციელების გზაზე, არის:



- მარეგულირებელი
- პროფესიული გაერთიანება
- დარგობრივი ჰაბი
- წარჩინების ცენტრი

მარეგულირებელი

როგორც თვითრეგულირებადი ორგანიზაცია, ასოციაცია განსაზღვრავს მედიაციის პროფესიულ და საგანმანათლებლო სტანდარტებს და უზრუნველყოფს სტანდარტების აღსრულებას და ზედამხედველობას.

პროფესიული გაერთიანება

როგორც მედიატორთა პროფესიული გაერთიანება, ასოციაცია უზრუნველყოფს ინდუსტრიის და პროფესიის ხილვადობას და ავტორიტეტს, ასევე ახორციელებს ინდუსტრიის ინტერესების ლობირებას, როგორც სახელმწიფოსთან, ასევე სხვა ინსტიტუტებთან, როგორცაა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, ბიზნეს საზოგადოება, ევროპული და რეგიონალური პროფესიული გაერთიანებები და სხვა.

დარგობრივი ჰაბი

როგორც დარგობრივი ჰაბი, ასოციაცია მუდმივად ზრუნავს მედიაციის განვითარებაზე და უზრუნველყოფს დარგის მონაწილეების განვითარების პროცესში ჩართულობას, თანამშრომლობას და მათი ძალისხმევის კოორდინაციას.

წარჩინების ცენტრი (Center of Excellence)

როგორც წარჩინების ცენტრი, ასოციაცია უზრუნველყოფს დარგობრივი და პროფესიული ცოდნის შექმნას და გაზიარებას, მუდმივად ზრუნავს მისი წევრების და დარგის სხვა მნიშვნელოვანი მონაწილეების პროფესიულ განვითარებაზე.

სახელმძღვანელო პრინციპები

მიზნების მიღწევის გზაზე, ასოციაცია იხელმძღვანელებს შემდეგი პრინციპებით:



მიუკერძოებლობა

- ასოციაცია თანაბრად და მიუკერძოებლად ემსახურება ყველა წევრს. ყველა წევრს გააჩნია თანაბარი წვდომა ასოციაციის რესურსებზე.
- ასოციაცია სამართლიანია და მიუკერძოებელი სერტიფიცირების, აკრედიტაციის და სხვა გადაწყვეტილების (მათ შორის, დისციპლინარული ხასიათის) მიღების პროცესში.

გამჭირვალობა და ანგარიშვალდებულება

- ასოციაცია თანაბრად ანგარიშვალდებულია მისი წევრების წინაშე.

- ყველა წევრს გააჩნია თანაბარი და სრული წვდომა ასოციაციის საქმიან ინფორმაციაზე. ინფორმაცია სიმეტრიულობა დაცულია.
- ასოციაცია გამჭვირვალეა და ანგარიშვალდებულია პროფესიული (მედიაციის პროცესებში ჩართული) საზოგადოების წინაშე.

პროფესიონალიზმი

- ასოციაცია, მისი მმართველი გუნდი და თანამშრომლები, ხელმძღვანელობენ ქვეყნის მაღალი ეთიკური და პროფესიული სტანდარტებით წევრებთან, სახელმწიფოსთან, პროფესიულ და ფართო საზოგადოებასთან კომუნიკაციის დროს.
- ასოციაცია ყოველთვის ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების პოზიციას დარგის ინტერესების ადვოკატირების და ლობირების დროს.
- ასოციაცია არ იყენებს მის განკარგულებაში არსებულ კერძო ინფორმაციას ორგანიზაციის ან მისი წევრების ინტერესების ლობირების მიზნით.
- ასოციაცია აწვდის სერვისს და ქმნის საინფორმაციო, საგანმანათლებლო და ანალიტიკურ პროდუქტებს ხარისხის მაღალი სტანდარტების დაცვით.

ეფექტურობა და ეფექტიანობა

- ასოციაცია იყენებს მის განკარგვაში არსებულ რესურსებს საჭირო შედეგისა, საქმიანობის მნიშვნელობისა და რისკების პროპორციულად, განხორციელების შესაძლებლობების, დროის შეზღუდვების და ხარჯების ეფექტურობის გათვალისწინებით.
- ასოციაცია არ უარყოფს ამოცანების შესრულებას რესურსების შეზღუდული ხელმისაწვდომობის საფუძველზე. იგი აქტიურად უზრუნველყოფს საჭირო რესურსების მოძიებასა და აკუმულირებას.

სტრატეგია

დასახული მიზნების მისაღწევად, 2020 – 2025 წლების განმავლობაში ასოციაცია გამოიყენებს შემდეგ სტრატეგიას და მიდგომას

მიზანი	სტრატეგია
მიზანი 1 ასოციაციის წევრობის მაღალი რეპუტაცია ჩამოყალიბებულია და აღიარებული საზოგადოების მიერ	<ol style="list-style-type: none"> 1. მაღალი პროფესიული სტანდარტების განსაზღვრა და აღსრულების ეფექტური და ეფექტიანი მექანიზმის დანერგვა 2. მედიაციის ღირებულებებისა, პროფესიული სტანდარტების, ცოდნის და გამოცდილების გაზიარება მედიაციის პროცესის მონაწილე სუბიექტებისთვის

მიზანი	სტრატეგია
	<ol style="list-style-type: none"> 3. უკუკავშირის სტაბილური და თანმიმდევრული მექანიზმების შექმნა 4. ასოციაციის და მისი წევრების ცნობადობის და ხილვადობის (ადგილობრივი, რეგიონალური, საერთაშორისო) უზრუნველყოფა
<p>მიზანი 2</p> <p>მაღალი ხარისხის პროფესიული განათლება ხელმისაწვდომია, სტაბილურად მიეწოდება და სათანადოდ პასუხობს მედიაციის განვითარების საჭიროებებს და მოთხოვნებს.</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სასერტიფიკატო ტრენინგების გარე კონკურენტული, დივერსიფიცირებული და მრავალფეროვანი სისტემის ჩამოყალიბება 2. განგრძობადი პროფესიული განათლების სისტემის ასოციაციის შიგნით განვითარება 3. უმაღლესი განათლების სისტემაში (სულ მცირე სამართლის, ბიზნესის და სოციალურ მეცნიერებათა მიმართულების) მედიაციის სწავლების და სტაჟირების მექანიზმის ინტეგრაცია.
<p>მიზანი 3</p> <p>ასოციაცია შეუფერხებლად უზრუნველყოფს სასამართლო მედიაციის პროგრამის განხორციელებას, სასამართლო სისტემის მოთხოვნების შესაბამისად და სასამართლო მედიაციის მექანიზმის განვითარების საჭიროებიდან გამომდინარე</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სასამართლო მედიატორების კოჰორტის სწრაფი მომზადება, საგამონაკლისო მიდგომით, სტანდარტების და ხარისხის დაცვით 2. საერთო სასამართლოების სისტემასთან პროცესის დახვეწა, მჭიდრო თანამშრომლობა, სისტემატური კომუნიკაცია, ცოდნის და გამოცდის გაზიარება 3. იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან კოორდინაცია და სასამართლო მედიაციის პოლიტიკის დაგეგმვა და სწორება 4. პროცესში ჩართულ მხარეებთან მჭიდრო ორმხრივი კომუნიკაცია, ცოდნის და პრაქტიკის გაზიარება, უკუკავშირის ანალიზი და ცვლილებების ადაპტაცია
<p>მიზანი 4</p> <p>მედიაცია ჩამოყალიბებულია როგორც ხშირად გამოყენებადი და ერთიან პროფესიულ და მარეგულირებელ ჩარჩოში მოქცეული მხარეების ინტერესებზე დაფუძნებული მეთოდი</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. კერძო მედიაციის პოპულარიზაცია როგორც პროფესიულ და ბიზნეს წრეებში, ასევე საზოგადოებაში (მათ შორის, ზოგადი განათლების დონეზე) 2. კერძო მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობა 3. ინტერდისციპლინარულ, დარგობრივ და სეგმენტურ მედიაციებს შორის კოორდინაცია, ერთიანი პოლიტიკის შემუშავების ფასილიტაცია და კოორდინირებული აღსრულება 4. კანონშემოქმედებაში პროაქტიური ჩართვა 5. რეგიონალური და საერთაშორისო ინტეგრაციის დაგეგმვა და პილოტირება

მიზანი	სტრატეგია
<p>მიზანი 5 ასოციაცია ჩამოყალიბებულია როგორც მდგრადი და ეფექტიანი, წევრების, პარტნიორების და მედიაციის ინტერესების დაცვაზე ფოკუსირებული ორგანიზაცია, თანამშრომლობაზე დაფუძნებული ორგანიზაციული კულტურით და ინფორმირებული, ცოდნაზე და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების და სერვისის მიწოდების პროცესებით</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. დაგეგმვის და შესრულების მონიტორინგის მდგრადი მექანიზმების (ფინანსები, მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, ადამიანური რესურსები) 2. სერვისების კომერციალიზაცია 3. გუნდური და თანამშრომლობითი მუშაობის პრინციპების დანერგვა 4. თანამშრომლების მოტივაციაზე და განვითარებაზე ზრუნვა 5. საქმიანობის (მათ შორის, მომსახურების, შიდა კომუნიკაციის და ცოდნის მართვის) ეტაპობრივი ავტომატიზაცია.

სამოქმედო გეგმა

დასახული მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად, 2020 – 2025 წლების განმავლობაში ასოციაცია განახორციელებს სპეციალურ პროგრამებს და პროექტებს.

დაგეგმილი ქმედებების განხორციელებისას, ასოციაცია დაეყრდნობა როგორც მის მანდატს, ასევე მისით და სტრატეგიით განსაზღვრულ კურსს.

ასოციაცია მკაცრად იხელმძღვანელებს განცხადებული პრინციპებით, რითიც დაიმსახურებს მისი წევრების, სახელმწიფოს, საქმიანი წრეების და საზოგადოების ნდობას და პატივისცემას.

პრიორიტეტი I. მაღალ პროფესიულ (საკვალიფიკაციო და ეთიკურ) სტანდარტებზე დაფუძნებული წევრობის სისტემის ფუნქციონირება

მიზანი 1.

ასოციაციის წევრობის მაღალი რეპუტაცია ჩამოყალიბებულია და აღიარებული საზოგადოების მიერ.

ამოცანა 1.1. პროფესიული (საკვალიფიკაციო და ეთიკური) მაღალი სტანდარტები დამკვიდრებულია

პროგრამა	შესრულების პერიოდი	შესრულების ინდიკატორები	ძირითადი ქმედებები
1.1.1. მედიატორის პროფესიული სტანდარტის, როგორც პროფესიის და მედიაციის სერვისის განმსაზღვრელი ჩარჩოს, ჩამოყალიბება და აღსრულების უზრუნველყოფა	<ul style="list-style-type: none"> 2020 - 2021 	<ul style="list-style-type: none"> დამტკიცებული ნორმატიული და პროცედურული ჩარჩო დაკომპლექტებული და მომზადებული ეთიკის კომისია და კომისიის აპარატი 	<ul style="list-style-type: none"> მედიატორის პროფესიული კრიტერიუმების განსაზღვრა და სასერტიფიკაციო/საკვალიფიკაციო პროგრამის შემუშავება მედიატორის პროფესიული სტანდარტის განსაზღვრა მედიატორთა დისციპლინარული წარმოების წესის შემუშავება ეთიკის კოდექსის ჩამოყალიბება ეთიკის კომისიის დაკომპლექტება ეთიკის კომისიის ამოქმედება ეთიკის კომისიის საქმისწარმოების წესის შემუშავება და ტექნიკური უზრუნველყოფა ეთიკის კომისიის წევრების შესაძლებლობების გაძლიერება (ტრენინგი, სემინარი, სტადი ტურები, სპიკერები) და ეთიკის კომისიის აპარატის კვალიფიკაციის უზრუნველყოფა (ტრენინგი) ეთიკის კომისიის აპარატის კვალიფიკაციის უზრუნველყოფა (ტრენინგი)
